ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის სხდომის
ოქმი N4

ადგილი ქედა

10 ნოემბერი, 2025 წელი

**სხდომა დაიწყო 12:30 სთ-ზე**
**სხდომა დამთავრდა 12:57 სთ-ზე**

სხდომას თავმჯდომარეობდა მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

**სხდომას ესწრებოდნენ:**
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
არკადი საკანდელიძე - კომისიის წევრი;
მერაბ ტაკიძე - კომისიის წევრი;
მურად დიასამიძე - კომისიის წევრი.

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

საკრებულოს აპარატის დამხმარე სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - თეონა ჯინჭარაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

10.11.2025 წელი

| № | სახელი, გვარი | თანამდებობა | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | მერაბ ნაკაშიძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 2 | ამირან ცინცაძე | კომისიის წევრი | |
| 3 | არჩილ გორგილაძე | კომისიის წევრი | |
| 4 | არკადი საკანდელიძე | კომისიის წევრი | |
| 5 | მურად დიასამიძე | კომისიის წევრი | |
| 6 | მერაბ ტაკიძე | კომისიის წევრი | |

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

**დღის-წესრიგი:**

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტი;**

**მომხსენებელი:** ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე

2. **ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი “-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტი.**

**მომხსენებელი:** ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე

1. **მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა,რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა (განცხადების ნომერი: 12-95252931-95; განცხადების თარიღი: 20.10.2025 წელი) „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 16 ოქტომბრის №7582/02 წერილით მოთხოვნილი ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული ერთი ერთეული ქონების, კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჭალახმელაში მდებარე 3002 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 21.13.31.382) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოთ გადაცემა შემდგომში აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

**სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:**
**მომხრე: 6**
**წინააღმდეგი: 0**

**კომისიამ გადაწყვიტა:**
მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტი განხილულ იქნას რიგგარეშე სხდომაზე.

2. **მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა (განცხადების ნომერი: 12-95252958-95; განცხადების თარიღი: 22.10.2025 წელი) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი “-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების კერძოდ: სასმელი წყლის სისტემის აღსადგენად შეძენილი სასმელი წყლის სისტემის პოლიეთილენის მილები საერთო ჯამში 300 გრძივი მეტრი, რომლის საერთო საბალანსო ღირებულება შეადგენს 1110 ლარს, შპს „ქედის წყალკანალი“-სთვის უსასყიდლო საკუთრების უფლებით გადაცემა, რათა ორგანიზაციამ დროულად მოახდინოს მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში მოსული უხვი ნალექების გამო გააქტიურებული მეწყერული პროცესების შედეგად მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში დაზიანებული მაგისტრალური წყალსადენების სისტემის აღდგენა, დაცვა, უკეთ მოვლა-შენახვა, მომსახურებისა და ეფექტურად გამოყენების უზრუნველყოფა.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

**სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:**
**მომხრე: 6**
**წინააღმდეგი: 0**

**კომისიამ გადაწყვიტა:**
მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი “-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტი განხილულ იქნას რიგგარეშე სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:57 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის
დამხმარე მოსამსახურე
კომისიების საქმიანობის
ორგანიზაციულ საკითხებში თეონა ჯინჭარაძე